# დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 45 08
19/07/2019

**დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების ( სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობით სარგებლობის უფლებით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის, 36-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 15/07/2019 წლის N07/2817 წერილისა და შპს ,,აუდიტორული ფირმა საპიენტი სატი-777''-ს 2019 წლის 10 ივლისის №1-10.07/19-2 აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობით სარგებლობის უფლებით, 49 წლის ვადით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ 82.13.42.517 (სახნავი), დაზუსტებული ფართობი 48500,00 კვ.მ. და საიჯარო ქირად განისაზღვროს 242.50 (ორასორმოცდაორი ლარი 50 თეთრი) ლარი წელიწადში.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე